



საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი  
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health



KA030639806829620

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001  
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/2768

25 / ივნისი / 2020 წ.

საქართველოს ოკუპირებული  
ტერიტორიებიდან  
დევნისა, შრომის, ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის მინისტრის პირველ  
მოადგილეს  
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (შემდგომში-ცენტრი) განიხილა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიმდინარე წლის 22 მაისის № 01/5480 წერილით გადმოგზავნილი, „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის სკოპინგის ანგარიში“ და შესაფასებელი სტრატეგიული დოკუმენტების კონცეფციები“, რომელიც „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიხედვით ექვემდებარება ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ცენტრის მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის და „გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბერის № 420 დადგენილებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მომზადდა დასკვნა „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშზე“.

„გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბერის № 420 დადგენილების მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, თანდართული დანართის სახით წარმოგიდგინებთ დასკვნას „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშზე“ დამგეგმავი ორგანოსათვის წარდგენის მიზნით.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე